სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის

ბრძანება № 223

2022 წლის 12 დეკემბერი

ქ. თბილისი

სამეცნიერო პოპულარული, შემეცნებითი ფილმების შექმნის მხარდაჭერის კონკურსის ფარგლებში წარმოდგენილი საგრანტო განაცხადის მოხსნის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83 მუხლის, „მეცნიერების პოპულარიზაციის" პროგრამის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილის 2021 წლის 29 დეკემბრის N1435044 ბრძანების, "მეცნიერების პოპულარიზაციის" პროგრამის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილის 2021 წლის 29 დეკემბრის N1435044 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" 2022 წლის 11 ნოემბრის N1441201 ბრძანებით დამტკიცებული მე-2 ქვეპროგრამის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ შოთა რუსთაველის სქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურის უფროსის 2022 წლის 12 დეკემბრის სამსახურებრივი ბარათის (N1590930) შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. სამეცნიერო პოპულარული, შემეცნებითი ფილმების შექნის მხარდაჭერის კონკურსის პირობებთან შეუსაბამობის გამო, კონკურსიდან მოიხსნას პრექტი - **SPF-II-22-078 – დოკუმენტალური ფილმი - ჰააგა 1907;**
2. დაევალოს სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურს წინამდებარე ბრძანების განთავსება ფონდის ვებგვერდზე.
3. ბრძანება ძალაშია ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი №64).

ეკატერინე ბუთლიაშვილი

ადმინისტრაციული და იურიდიული დეპარტამენტის უფროსი